ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5438666

ნომერი: AR1829465

თარიღი : 02.06.2021

გაცემის თარიღი : 16.06.2021

გაცნობის თარიღი : 17.06.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ესმა ონიანის ქუჩა, N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზი აბრამიშვილი პ/ნ 01017017098
- თბილისი ალ.ჭავჭავაძის ქ. N 9

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. ლაბორატორია მრჩეველი კოდი: 205256248

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს AR1829465 (02/06/2021 წ.) განცხადებით მომართა ნიკოლოზ აბრამიშვილმა და და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4063016 (18/07/2019) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, კერძოდ: განახლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირება.
ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის არქიტექტურის სამსახურის №4063016 (18/07/2019) ბრძანებით ქალაქ თბილისში, საქართველოს სამხედრო გზის მე-9 კმ, ნაკვ N109-ს მომიჯნავედ/

ქალაქი თბილისი, საქართველოს სამხედრო გზის მე-9 კმ-ზე,/ ქალაქი თბილისი , ლუბლიანას I ჩიხი N5 / ქალაქი თბილისი, მასივი დიღომი / ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, (ნაკვეთი N6) / ქალაქი თბილისი, მასივი დიღომი, (ნაკვეთი N8) / ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , (ნაკვეთი N9) / ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N20 / ქალაქი თბილისი, საქართველოს სამხედრო გზის მე-9 კმ-ს მიმდებარედ; (საკ. კოდი: 01.13.01.020.213; 2094 კვ.მ.) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (სასტუმროს ფუნქციით) მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
№01.01181907 09.07.2018 წელს გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება არსებული შენობა-ნაგებობის სასტუმროს ფუნქციით რეკონსტრუქციის მიზნით. №01.01191728 (21/06/2019) წელს გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება და №01.01181907 09.07.2018 ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ქალაქ თბილისში, ესმა ონიანის ქუჩა N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.020.223) სასტუმროს განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება“.
15/07/2019 წლის № 4587975 ბრძანებით შევიდა ცვლილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ნაცვლად რეკონსტრუქციისა და ფიქსირდა ახალი მშენებლობა, ასევე აისახა განახლებული საკადასტრო მონაცემები: „მიწის ნაკვეთის შეცვლილი საკადასტრო გეგმა (განცხადების ნომერი: 882019062247; თარიღი: 31/01/2019); მიწის ნაკვეთის შეცვლილი საკადასტრო კოდი და შეცვლილი ფართობი (01.13.01.020.223რეგისტრაციის ნომერი: N882019091199 08/02/2019; ფართობი 2138 კვ.მ.)
28/02/2020 წლის N4879500 ბრძანებით შევიდა ცვლილება და სასტუმროს ნაცვლად დაფიქსირდა ამბულატორია.
დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4063016 (18/07/2019) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას და განახლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირება.

ვბრძანებ

01. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4063016 (18/07/2019) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს განახლებული კონფიგურაციის საკადასტრო მონაცემები.
02. წინამდებარე ბრძანება განხილული ქნას ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის№4063016 (18/07/2019) (15/07/2019 წ № 4587975 (4879500 28/02/2020) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.
03. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის მერთან(მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩაN7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთითვის ვადაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.